


ინსტიტუტში მოვიდა ახალი ზევისა



სტუდენტ-კომპოზიტორი

ალბათ ყველს, ვინც კი თვალს ადევნებს თანამედროვე ქართული საესტრადო ხელოვნების განვითარებას, არაერთხელ სძენია კომპოზიტორ ვაჟა დურგლიშვილის სახელი, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში თითქმის განუყოფელი ვახდა ჩვენი საესტრადო კონცერტების რეპერტუარისაგან. უამრავი თავყვანისმცემელ ჰყავს ახალგაზრდა შემოქმედს, რადგან ყველასათვის ახლობელი და გასაგებია მისი ლამაზი სიმღერების უსაზღვრო მელოდირობა და სილამაღე; ის ხალხური სინდელ და ავტორისეული თვითმყოფადობა, ასე ჰარმონიულად რომ არის შერწყმული ვ. დურგლიშვილის მუსიკაში, ხოლო როცა შეიტყობ, რომ ამ სიმღერების ავტორი თვითნასწაველი კომპოზიტორია, თითქოს გიორკეცდება მისდამი სიმპატიამ.

როცა ახალი სასწავლო წლის დასაწყისში ვაგიგეთ, რომ ვაჟა დურგლიშვილი ჩვენი ინსტიტუტის პედაგოგიური ფაკულტეტი მუსიკა-სიმღერის სპეციალობის სტუდენტი გახდა, გულწრფელად გაგვიხარდა.

და აი, ვაჟა დურგლიშვილი ჩვენი რექტორის სტუმარია. მოწიფ-

ებით, მორცხვად შემოვიდა და თითქოს თან შემოჰყვა ნიაღვარივით მომსდარი ლამაზი სიმღერების ტალღა: „მალა მზეა, დაბლა ბარია“, „ქალაუ, შენ რომ ქმარი გყავს“, „იქმი თბილისი მეძახის ვარეთ“...

ტრადიციული კითხვა გვებადება: როდის იგრძენით პირველი მელოდის დაზადება, როდის დაიწერა თქვენი პირველი ნაწარმოები?

— ძნელია თქმა, როდის იგრძენი პირველი მელოდია, ჩვენთან ხომ თითქმის ყველაფერი სასიმღეროდ განგაწყობს. ლადო ასათიანს უთქვამს: „საქართველოში თუქვიც მღერისო“. და ვახა მართლა ასე არ არის? ვანა თავისებური მელდობა არ არის დღევანდის ჩიფიფი და წვიმის წვეთების თითქოს ერთი შეხედვით მონოტონური ხმაური, ფოთლების ნახი შრიალი და მინდორში გაბნეული უთვალავი ყვავილის სიკისასე? ასე მეონია, საქართველოში ყოველი კენჭიც კი თავისებურ საგლობელს მღერის, ამ მაღლიანი მზისა და მიწის საგლობელს. მაგრამ „მელოდია“ ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით 1968 წლიდან დამკვიდრდა ჩემს ცხოვრებაში. ამ წელს ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო

საესტრადო სასწავლებელში, აქვე დაეწიერ პირველი სიმღერა „გახა-იფხულის სიმღერა“ ვ. გოგოლაშვილის ტექსტზე. ეს სიმღერა სულ მალე ეთალური-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა „ორგრამ“ შესარქულა. ეს ჩემი პირველი გამარჯვება იყო.

მართალს ამბობს ახალგაზრდა შემოქმედი: „საქართველოში თუქვიც მღერისო“. მაგრამ ანა სედუტ და მისიწინეთ თუქვის სიმღერა, ვანა ყველა ყურს ესმის იავი? მხოლოდ ქეშმარიტი ხელოვნის ყური და გული უნდა გქონდეს ასე ძლიერად, ასე სიორმისეულად რომ განიცდიდე ლამაზ ლექსსა და „თუქვის სიმღერას“, კენჭის გალობასა და რუ-ნაკადულების ჩიფიფს, შემდეგ კი შეგეძლოს ამ საგლობელს ქეშმარიტი სული შთაბერო და სიმღერებად აქინძულს, ხალხის გულში დაუდო ბინა, უყვედავებას აზიარო.

უყვარს, განუზომალად უყვარს თავისი სიმღერები ვაჟა დურგლიშვილს. იმდენად უყვარს, რომ კითხვაზე: რომელი სიმღერა ურჩევნია, ეერც ერთს ვერ ანიჭებს უპირატესობას. ეს არცაა ვასაკვირი. ყველა მათგანი ხომ მისი სულის ნაწილია, აქ კი არჩევანი ძნელი საქმეა.

ოროდღე სიტყვით ვეკითხებით შემოქმედებით გზის შესახებ, უპირს საკუთარ თავზე ლაპარაკი, მაგრამ ზოგ მომენტს მაინც ვაპოყობ თავისი ბოგრაფიიდან.

თბილისის საესტრადო სასწავლებელში სწავლისას მუსიკის ჯალდოსნურ სამყაროს აზიარეს კომპოზიტორებმა შოთა მილორაივამ, ვიორტი ცაბაიემ, ალექსანდრე ივანოვმა და სხვებმა. აქ სწავლობდა მუსიკის თეორიას, გამომსახველობით ფორმებს, აქვე დაარსდა ეოკალური-ინსტრუმენტული ანსამბლი „პირველი ნაბიჯები“, რომლის რეპერტუარში ვაჟას სიმღერებიც იყო, ხოლო როცა „ორგრამ“ მისი „გაჯაფხულის სიმღერა“ შესარქულა, დაიწყო ვ. დურგლიშვილის სიმ-

ღერების ნამდვილი ცხოვრება. საესტრადო სიმღერების კონკურსში „ჩვენ ვეძებთ ტრანტებს“ ერთერთ საგალობელთა ნომრად მისი სიმღერაც შეიტანეს — „მამა, სიზმარში ვიხილე“ (ტექსტი მ. ფოცხიშვილისა), რომელმაც კონკურსში მეორე ადგილი დაიკავა.

საუბარი ვაგვიგრძელდა, ახლა უკვე შემოქმედებით ვზებხსა და მიზნებზე ვეკითხებით ახალგაზრდა კომპოზიტორს, თუმცა უფრო ოცნებები ჰქვია მის სურვილებს. ოცნებას, რაც შეიძლება ბატონად, მუსიკალურ ენაზე; აამიტყველოს ხალხური პოეზიის უნიჭიან თესი ნიმუშები. ვაჟას დრმაღ სწამს, რომ ეროვნული მუსიკალური საუნჯე შემოქმედმა უნაა ვანდახსარშის და ქარაი გამაჩილიოს, საკუთარი ხელწერა, მაგრამ ხალხურ საუნჯის მეტად სათითო მოპყრობა სჭირდება, რათა არ გაიადფეს წინაპრების მეგრ ვეშენილი ქეშმარიტი მუსიკალური ფასელობა. ოცნებობს ავრთვეთ დაწერიოს ობერტა ქართულ მელოდებზე, წლავადელი სასწავლო წლიდან კი ამ ოცნებებს კიდევ ერთი დიდი მიზანი შეემატა — ისწავლოს, რაც შეიძლება მეტი ისწავლოს, რათა ინსტიტუტიდან წასვლის შემდეგ, დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე გასულმა თავის მომთაბო აღსაზრდელებს მუსიკის უსაზღვრო სიყვარულთან ერთად მის ჯალდოსნურ სამყაროში წვდომის და ამტკურველობის უნარები გადსაცეს, და, ბოლოს, მისი უდიდესი ოცნებაა ვახამოვანოს რომელიმე ქართული ფორმა — სურვილებსა და ოცნებებს რა დამოღვეს, მაგრამ საქმე მათი ვანხორციელებაა, ამას კი მომთაბო გვიჩვენებს, — ღმილით დასძენს...

ვეთანხმებით ახალგაზრდა კომპოზიტორს, მართლაცაა მომთაბოლი გვიჩვენებს ყველაფერს, ვერჯერებით კი ვაჟა დურგლიშვილის ყურ კიდევ გაუბედავი ნაბიჯები პორიზონტთან მიახლოებას წააგავს.